დამტკიცებულია შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის" დირექტორის 2021 წლის 08 ივნისის N 01-01/41 ბრძანებით

დანართი N 1

ბათუმის საფეხბურთო სტადიონის სახელის დარქმევის, რეკლამისა და სხვა სახის უფლებებით სარგებლობა

კატეგორია*	იჯარა
ქვეკატეგორია*	სხვა ტიპის იჯარა
ობიექტის დასახელება*	ბათუმის საფეხბურთო სტადიონის სახელის დარქმევის, რეკლამისა და სხვა სახის უფლებების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემა, ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) წლის ვადით
ობიექტის მოკლე აღწერა	ბათუმის საფეხბურთო სტადიონის სახელის დარქმევის, რეკლამისა და სხვა სახის უფლებებით სარგებლობა
მდებარეობა/მისამართი*	ქ. ბათუმი, ჟიული შარტავას გამზირი N 13
აუქციონის ხანგრძლივობა*	აუქციონის გამოცხადებიდან 15 კალენდარული დღე
ფასი (ლარი)*	1 000 000 ლარი (წლიური საწყისი ღირებულება, დღგ-ს ჩათვლით)
ბიჯი (ლარი)	25 000 ლარი
უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/„ბე“ (ლარი)	250 000 ლარი
საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა (დღე)	აუქციონის გამოცხადებიდან არანაკლებ 1878 კალენდარული დღე
ყურადღება	თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ აუქციონში რეგისტრირებული პირები რომლებმაც გადაიხადეს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა ან/და წარმოადგინეს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას სააუქციონო ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ წარდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბეს თანხა სრულად ირიცხება შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიის" ბიუჯეტში.

საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმად განისაზღვროს:	- მაქსიმალური სარგებლობის საფასურის დაფიქსირება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებული საწყისი სარგებლობის საფასურს დამატებული არანაკლებ ერთი ბიჯის ოდენობა (ქონების იჯარით სარგებლობა გადაცემულად ითვლება ელექტრონულ აუქციონში საბოლოო თანხის შემომთავაზებელ მონაწილეზე); - ვალდებულების აღება აუქციონის პირობების დაკმაყოფილებაზე.
აუქციონის ჩატარების პირობები	იხილეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 5 მაისის N103 ბრძანებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი" და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2021 წლის 26 მარტის N01-01-3/135 ბრძანებით დამტკიცებული ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესი“.

<u>**სააუქციონო პირობები**</u>

ა) აუქციონში გამარჯვებულს მიენიჭება ბათუმის საფეხბურთო სტადიონისათვის სახელის დარქმევის უფლება და შედეგად, განისაზღვრება სტადიონის ახალი სახელწოდება შესაბამისი ხელშეკრულების მოქმედების ვადით;

შენიშვნა: აუქციონში გამარჯვებულის მიერ, სტადიონისათვის სახელის დარქმევის მიზნით შერჩეული სახელის ფორმულირება უნდა შეესაბამებოდეს მსოფლიოში არსებულ ანალოგიურ პრაქტიკას, უნდა მოიცავდეს სიტყვა ,,არენა“-ს და საბოლოო დამტკიცებისათვის უნდა წარედგინოს სტადიონის მესაკუთრეს.

ბ) სურვილის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულმა, სტადიონის მესაკუთრესთან შეთანხმებით, საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს სტადიონის ახალი სახელწოდების მოცულობითი ასოებით განთავსება ბათუმის საფეხბურთო სტადიონის გარე პერიმეტრზე;

გ) სურვილის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულს უფლება აქვს, სტადიონის მესაკუთრესთან შეთანხმებით, ბათუმის საფეხბურთო სტადიონის შენობის სახურავზე (ზედხედზე) საკუთარი ხარჯებით დაიტანოს სტადიონის ახალი სახელწოდების აღმნიშვნელი წარწერა;

დ) ბათუმის საფეხბურთო სტადიონის გარე ფასადი, სტადიონის მესაკუთრესთან შეთანხმებული პერიოდულობითა და ხანგრძლივობით (არაუმეტეს კვირაში 7 საათისა) განათდება აუქციონში გამარჯვებულის კორპორატიულ ფერში. ამავე კორპორატიულ განათებაზე, შესაძლებლობის ფარგლებში განხორციელდება სტადიონის ახალი სახელწოდების ან/და აუქციონში გამარჯვებულის ლოგოს გამოსახვაც (დამოკიდებულია წარწერის სირთულესა და ლოგოს დიზაინზე);

ე) სტადიონის მესაკუთრე, აუქციონში გამარჯვებულს, ხელშეკრულების მოქმედების ვადით, სარგებლობის უფლებით გადასცემს ბათუმის საფეხბურთო სტადიონზე მდებარე ერთ ბიზნეს-ბოქსსა და 5 (ხუთი) საპარკინგე ადგილს;

ვ) აუქციონში გამარჯვებულს მიეცემა ბათუმის საფეხბურთო სტადიონის შიდა პერიმეტრზე რეკლამის ან/და სტადიონის ახალი სახელწოდების აღმნიშვნელი ბანერების განთავსების უფლება, არაუმეტეს 3 ბანერისა;

ზ) ბათუმის საფეხბურთო სტადიონზე გასამართი ღონისძიებების (მათ შორის სპორტული, კულტურული და ა.შ.) ბილეთებზე, ღონისძიების ჩატარების ადგილად მიეთითება სტადიონის ახალი სახელწოდება;

თ) სტადიონის მესაკუთრის მიერ განხორციელებული მასობრივი კომუნიკაციისას, სტადიონი მოხსენებული იქნება ახალი სახელწოდებით;

ი) ზემოაღნიშნულის გარდა, სხვა დამატებითი აქტივობები დასაშვებია სტადიონის მესაკუთრესთან შეთანხმებით (სხვადასხვა სახის სარეკლამო-საიმიჯო აქტივობები/კამპანიები და მისთ.);

კ) აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ხელშეკრულების შეწყვეტიდან 1 თვის ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საიჯარო ქონების გამოთავისუფლება და მეიჯარისთვის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება;

შენიშვნა: უეფას ან ფიფას ეგიდით გასამართი მატჩების ჩატარებისას, ,,დ“, ,,ე“, ,,ვ“ და ,,თ“ პუნქტებით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაცია განხორციელდება ღონისძიების ორგანიზატორის თანხმობის შემთხვევაში.

,,ზ“ პუნქტით გათვალისწინებული უფლების რეალიზაცია განხორციელდება ღონისძიების ორგანიზატორის თანხმობის შემთხვევაში.